ევროკავშირი საქართველოსთვის

NETHERLANDS HELSINKI COMMITTEE

Hertie School Executive Education

GEORGIAN DEMOCRACY INITIATIVE

ადამიანის უფლებებზე მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში

22 მარტი 2024

მონიტორინგის მოკლე ანგარიში შეკრებებისა და მანიფესტაციების მონაწილეთა მიმართ სავარაუდოდ განხორციელებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით

პროექტით - „ადამიანის უფლებებზე მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობის გაძლიერება საქართველოში“, ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდება საქართველოში მიმდინარე შეკრებებსა და მანიფესტაციებს და უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას როგორც საპროტესტო აქციებზე განვითარებული მოვლენების, ისე მათი მიმდინარეობისას სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული ქმედებების ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2023 წლის იანვრიდან დღემდე ჩაწერილ ინტერვიუებში რესპონდენტებმა ერთ-ერთ მთავარ პრობლემად აღნიშნეს, რომ აქციებში მონაწილეობისას, მათ, სავარაუდოდ, უთვალთვალებდნენ უცნობი პირები. ინტერვიუების დროს, პოლიტიკური პარტიის[1], ასევე - სამოქალაქო გაერთიანების[2] წარმომადგენლები მონიტორებთან ინტერვიუებში აღნიშნავდნენ, რომ მათ მიერ ორგანიზებულ აქციებზე ისინი არაერთხელ გამხდარან ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტები.[3]

2023 წლის 28 მაისს საქართველოს პარლამენტის წინ პარტია „ევროპული საქართველოს“ მიერ ორგანიზებულ აქციაზე - ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორმა აქციის პერიმეტრზე შენიშნა ორი არაიდენტიფიცირებადი პირი - მამაკაცი და ქალბატონი, რომლებიც სავარაუდოდ უთვალთვალებდნენ აქციის მონაწილეებს - გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი ახალგაზრდა

[1] ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერვიუ გიორგი ნონიაშვილთან (პოლიტიკური პარტია ,,ევროპული საქართველო“); 28.06.2023; ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერვიუ პოლიტიკურ პარტია „ლელოს“ წარმომადგენლებთან: 16.11.2023.

[2] ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერვიუ სამოქალაქო მოძრაობა ,,ჯიუტის“ წარმომადგენლებთან: ლაშა ჯანჯღავა, კონსტანტინე ჩახუნაშვილი, მეგი დიასამიძე; 10.10.2023.

[3] ,,ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი – პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება ფარული საგამოძიებო მოქმედება“, იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მე-3 მუხლის 31-ე ნაწილი.

პროგრამისტის, თამარ ბაჩალიაშვილის[4] მამას, ჯუმბერ ბაჩალიაშვილს და 2023 წლის 8-9 მარტის საპროტესტო აქციის შემდეგ დაპატიმრებული სამოქალაქო აქტივისტის, ლაზარე გრიგორიადისის[5] მამას - ბექა გრიგორიადისს. ჯუმბერ ბაჩალიაშვილმა და ბექა გრიგორიადისმა ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორს განუცხადეს, რომ მათ ეს ორი პიროვნება უთვალთვალებდა აქციის დაწყების მომენტიდან. ამასთან, სწორედ ამ აქციის შემდეგ ბექა გრიგორიადისი აპირებდა მედიისთვის განცხადების გაკეთებას, რომ იწყებდა შვილის გათავისუფლების მოთხოვნით საპროტესტო აქციას და შესაძლოა, სწორედ ეს ფაქტი გამხდარიყო მისი თვალთვალის მიზეზი. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის მიერ გადაღებულ ფოტოებზე ჩანდა, რომ ეს პირები იდგნენ ჯუმბერ ბაჩალიაშვილისა და ბექა გრიგორიადისის სიახლოვეს.[6] ამასთან, მოგვიანებით, მონიტორინგის დროს გადაღებული ფოტოების დეტალური გაცნობისას მონიტორმა აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთი პირი, რომელიც სავარაუდოდ უთვალთვალებდა აქციის მონაწილეებს, იმყოფებოდა პირველ გიმნაზიასთან შეკრებილ პოლიციელებთან ერთად.[7] ეს გარემოება შესაძლოა მიანიშნებდეს, რომ ჯუმბერ ბაჩალიაშვილი და ბექა გრიგორიადისი, სავარაუდოდ, იყვნენ ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტები.

ვინაიდან ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების ხელთ არ არის საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, მონიტორინგის მოკლე ანგარიშის მიზნებისთვის, აქციის კონკრეტული მონაწილეების მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება გონივრული ვარაუდის საფუძველზეა განხილული. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების ასეთი ვარაუდის საფუძველია აქციების მონაწილეების და ორგანიზატორების მიერ ინტერვიუების დროს მოწოდებული ინფორმაცია და მათ მიერ მიერ აქციების მიმდინარეობისას მოპოვებული ფოტო და ვიდეოდოკუმენტაცია.

როგორც საჯარო წესრიგის, ისე აქციის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვა პოლიციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომლის განხორციელებისასაც სამართალდამცავმა ორგანოებმა, როგორც კოლექტიურად, ისე ინდივიდუალურად, უნდა იმოქმედონ მაღალი პასუხისმგებლობით, ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომის შესაბამისად.[8] საქართველოს კანონმდებლობით, პრევენციული უფლებამოსილების განხორციელებისას პოლიცია უზრუნველყოფს შეკრებების, მანიფესტაციების თუ სხვა მასობრივი

[4] რა ვიცით 23 წლის თამარ ბაჩალიაშვილის შესახებ, რადიო თავისუფლება, 22 ივლისი 2020, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/0hnha6 [24.02.2024].

[5] ვინ არის ლაზარე გრიგორიადისი - „მოლოტივის კოქტეილის“ სროლის ბრალდებით დაკავებული, რადიო თავისუფლება, 30 მარტი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/yjfbcu [24.02.2024].

[6] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის აქციის მონიტორინგის ანგარიში: 28.05.2023.

[7] იქვე.

[8] Amnesty International Dutch Section, *Policing Assemblies*, Police and Human Rights Program – Short paper series No. 1, 2013, p. 5.

შეკრებების მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვას.[9] პოლიცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამართალდარღვევის ფაქტებზე რეაგირებისას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, უფლებამოსილია განახორციელოს ფარული საგამოძიებო მოქმედებები: „ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა, კინო და ფოტოგადაღება, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს“.[10] ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების საპროცესო-სამართლებრივი ნორმები მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.[11] თავის მხრივ, ამგვარი ღონისძიებების ნაწილი რეგულირდება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით.[12]

იმის გათვალისწინებით, რომ ,,ხელისუფლების მხრიდან პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული მონაცემის შენახვა (დამუშავება), მიუხედავად იმისა, შემდგომში გამოიყენება თუ არა ეს მონაცემი, პირდაპირ გავლენას ახდენს ინდივიდის პირადი ცხოვრების ინტერესზე“,[13] კანონი ჩამოთვლის ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახეებს, რომელთა შორისაა, ფარული ვიდეოჩაწერა ან/და აუდიოჩაწერა, ფოტოგადაღება,[14] და განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესს, სხვაგვარად - იმ პროცესუალურ სტანდარტს თუ რა შემთხვევაში არის დასაშვები ამგვარი მოქმედებების ჩატარება.[15]

ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება იმ პირის მიმართ, ვის მიმართაც გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება კანონით ამომწურავად განსაზღვრულ დანაშაულებზე,[16] ან თუ არსებობს ,,დასაბუთებული ვარაუდი, რომ რომ პირს, რომლის მიმართაც უნდა ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება, ჩადენილი აქვს კანონით განსაზღვრული რომელიმე დანაშაული ან პირი იღებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას, ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს“.[17] ასევე, ამგვარი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გამოწვეული უნდა იყოს გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და ის დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი, შესაფერისი და

[9] საქართველოს კანონი ,,პოლიციის შესახებ“, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი.
[10] იქვე, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ვ.ბ“ ქვეპუნქტი.
[11] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თავი XVI[1].
[12] საქართველოს კანონი ,,ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“.
[13] *S. and Marper v. the United Kingdom,* no. 30562/04 and 30566/04, § 67,121, 4 December 2008.
[14] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 143[1] მუხლი.
[15] იქვე, 143[3] მუხლი.
[16] იქვე, 143[3] მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტი.
[17] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 143[3] მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტი.

პროპორციული საშუალება უნდა იყოს.[18] დამატებით, ,,ფარული საგამოძიებო მოქმედებები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც *ultima ratio* ღონისძიება, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში".[19]

ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს ზედამხედველობს სასამართლო, როგორც ნებართვის გაცემის, ისე მისი მოქმედების გაგრძელების ნაწილში.[20] გადაუდებელი აუცილებლობისას, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დასაშვებია პროკურორის დადგენილების საფუძველზე.[21] ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო არის ამ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანო,[22] ამასთან, ,,ფარული საგამოძიებო მოქმედების კონტროლსა და ზედამხედველობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ახორციელებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის შესაბამისად".[23]

ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლების განხილვის შემდეგ, საკითხავია, რამდენად მიზანშეწონილი იყო აქციის მონაწილეთა მიმართ სავარაუდოდ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და ასევე, არსებობდა თუ არა, გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროება და აუცილებლობა. რა საფუძველი ჰქონდათ საგამოძიებო ორგანოებს, რომ ამ პირების მიმართ განეხორციელებინათ ფარული საგამოძიებო მოქმედებები. კანონი ამგვარი საგამოძიებო მოქმედების გამოყენებას დასაშვებად მიიჩნევს შემდეგი ლეგიტიმური მიზნით - ,,ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად".[24] ამასთან, ,,მისი გამოყენება საჭირო უნდა იყოს მაშინ, როდესაც სხვა საგამოძიებო ღონისძიება არაეფექტურია დანაშაულის გახსნისთვის, დამნაშავის დასადგენად, მტკიცებულებების მოსაპოვებლად".[25]

იმის გათვალისწინებით, რომ აქციის მონაწილეებზე, შესაძლოა, ხორციელდებოდა ფარული საგამოძიებო მოქმედებები, არსებობდა რისკი, რომ ამ პროცესში დამუშავებულიყო იმ პირთა მონაცემები, რომელთაც გამოძიებასთან არ ჰქონიათ

---

[18] იქვე, 143^3 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტი.
[19] აქუბარდია ი., *კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე*, რევაზ გოგშელიძის 65-ე საუბილეო კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი, გამომც. ,,მერიდიანი", თბ., 2022, გვ. 200.
[20] აქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 143^3 მუხლის პირველი ნაწილი.
[21] იქვე.
[22] იქვე, 32-ე მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი.
[23] იქვე, 143^4 მუხლის მე-2 ნაწილი.
[24] იქვე, 143^2 მუხლი.
[25] ლალიაშვილი თ., *კონფლიქტი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებსა და ადამიანის ძირითად უფლებებს შორის*, ჟურნ. ,,სამართალი და მსოფლიო" N6, გამომცემლობა ,,მერიდიანი", თბილისი, 2017, გვ. 40.

შემხებლობა - მაშინ, როდესაც *prima facie* არ იკვეთებოდა ეროვნულ უშიშროებასთან, საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, ან სხვა დაცულ სამართლებრივ სიკეთესთან დაკავშირებული რისკები ანდა კანონით განზაზღვრული სხვა საფუძვლები. თავის მხრივ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელ ორგანოს, საგამოძიებო ორგანოს და შესაბამის თანამშრომლებს ავალდებულებს კომუნიკაციისა და მონიტორინგის მაქსიმალურად შეზღუდვას იმ პირების მიმართ, რომელთაც გამოძიებასთან კავშირი არ აქვთ.[26]

ამრიგად, ფარული საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობისას პროკურატურამ, სასამართლომ, ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა უნდა იმოქმედოს ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული მიდგომით. ამგვარი საგამოძიებო მოქმედებები უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესის დაცვით, მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს მისი გამოყენება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ,,გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს“.[27]

<u>შესაბამისად, მივმართავთ რეკომენდაციით:</u>

საქართველოს პროკურატურას და ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს:

- შეკრებებისა და მანიფესტაციების მონაწილეების მიმართ არ განახორციელოს ფარული საგამოძიებო მოქმედებები, გარდა კანონით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევებისა.

საქართველოს საერთო სასამართლოებს:

- ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებაზე ნებართვის გაცემისას ან/და დაწყებული საგამოძიებო მოქმედებების გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს ეროვნული კანონმდებლობით და მსგავსი მოქმედებები დაუშვას მხოლოდ კანონით განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევებში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს:

[26] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 143^7 მუხლის პირველი ნაწილი.
[27] იქვე, 143^2 მუხლის მე-4 ნაწილი.

- ზედამხედველობა გაუწიოს აქციების მონაწილეებისა და ორგანიზატორების მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების სავარაუდო ფაქტებს და დარღვევების იდენტიფიცირების შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.